

თბილისი

15./08/2018

ბრძანება N 010

შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად;
2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი



ლია ბერუაშვილი

შპს „თეგეტა აკადემიის“
დირექტორის 5/08/2018 წლის N 010 ბრძანების
დანართი N1

შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის
გაცემის წესი

ქ. თბილისი

2018 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი ადგენს შპს თეგეტა აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის ყველა შედეგის დადასტურების შემთხვევაში, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის დამზადებისა და გადაცემის წესს.

მუხლი 2. კვალიფიკაციის მინიჭების კრიტერიუმები

2. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაცია ენიჭება შესაბამის პროგრამაში შემავალი მოდულებით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის დამლევის შემთხვევაში.
3. სწავლის შედეგების დამლევის დადასტურებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მიღწევებს და აწვდის უტყუარ და დასაბუთებულ ინფორმაციას დირექტორს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის ყველა შედეგის დადასტურების შესახებ;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი, სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისია

1. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. დუალური პროგრამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტის (საწარმოს) წარმომადგენელი.
2. კომისია იკრიბება ერთჯერადად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.
3. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელიც არის კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველი.

მუხლი 4. კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;
2. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნას მოდულებით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი. კომისია შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების საკითხს.
3. კომისიის საქმიანობის ამსახველი ოქმი წარედგინება დირექტორს.
4. კომისიის ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
5. დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია კომისიის სხდომის ოქმი.
6. დირექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე დაწესებულება ამზადებს და გაცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს, რომლის ნიმუშიც დამზადებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების